პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 მაისი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 91 (9758) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რეზონანსი

## ლაგოდეხელთა გამოძახილი

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის შეხვედრისას წამოჭრილმა საკითხებმა ფართო საზოგადოებისა და საინფორმაციო საშუალებების დიდი ინტერესი გამოიწვია. საქმე ეხება ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში როგორც დიდი ხნის პრობლემების გადაჭრას, ისე მთელი რიგი სიახლეების დანერგვას. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში შეხვედრის თემით გაზეთი „სოვეტსკი სპორტიც" დაინტერესდა და 7 მაისს გამოაქვეყნა წერილი სათაურით „გულახდილი სიტყვის სიკეთე". „ლელომ" ეს წერილი 8 მაისის ნომერში გადმობეჭდა. მკითხველმა იცის, ამავე საკითხებს მიეძღვნა გამოხმაურებები რესპუბლიკურ პრესაში. განზე არც ადგილობრივი პრესა რჩება. მივიღეთ ლაგოდეხის რაიონული გაზეთი „გამარჯვების დრო-




შა", სადაც ღრმად არის გაანალიზებული ფიზკულტურის ინსტიტუტში გამართული შეხვედრის მნიშვნელობა. რაიონის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს, ყველა მშრომელს, ყველა ახალგაზრდას რაიონის პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები მიმართავენ ღია წერილით და მოუწოდებენ პრაქტიკული წვლილი შეიტანონ სამშობლოსათვის ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ღია წერილში კონკრეტული ფაქტებით არის გადმოცემული რაიონში შექმნილი საგანგაშო ვითარება. მაგალითად, „ჯანმრთელობაზე გამოკვლეული 7.733 მოსწავლიდან 1448, ანუ ყოველი მეხუთის ჯანმრთელობას გარკვეული გადახრის გამო საფრთხე ემუქრება". რაიონში მივიწყებულია სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშობები, დაიკარგა ადრინდელი ტრადიციები სპორტის კლასიკურ სახეობებში. ვეტერანები იწონებენ ფიზკულტურის ინსტიტუტში შეხვედრისას წამოყენებულ წინადადებებს და სთხოვენ განათლების სამინისტროს, რომ ფიზკულტურაში დაწესდეს კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

ღია წერილის ავტორები მოითხოვენ დაისახოს და აუცილებლად შესრულდეს ორწლიანი პროგრამა, რომელიც ყველა სოფელს და სკოლას უზრუნველყოფს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით.

ფიზკულტურის ინსტიტუტში გამართული შეხვედრის ექო მთელს რესპუბლიკას გადასწვდა და მის ფარგლებსაც გასცდა. ლაგოდეხელთა თაოსნობა მისაბაძია. ადგილებზე საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება უთუოდ გახდება წარმატების საწინდარი.




## ფინიში— გამარჯვების პარკში

თბილისის ქუჩებში გამართულმა ამანათრბენებმა კარგა ხანია თავისი ადგილი დაიკავა მასობრივ ღონისძიებათა კალენდარში. ტრადიციულია ქალაქის რაიონების მოსწავლეთა გუნდების შეჯიბრებაც.

9 მაისს, გამარჯვების დღეს თბილისის ათივე რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მძლეოსნურ ამანათრბენში, რომელმაც სტარტი გმირთა მოედანზე აიღო და გამარჯვების პარკში დასრულდა. ფინიშთან პირველი მიიჭრა გლდანის რაიონის გუნდის სპორტსმენი, რისთვისაც გლდანელთა კოლექტივს ცალკეულ გუნდებს შორის გამარჯვებისთვის დაწესებული ჯილდო გადაეცა. მეორე ადგილზე გავიდა 26 კომისრის რაიონის გუნდი, რომელიც მხოლოდ ერთი — 121-ე სკოლის მოსწავლეებით იყო წარმოდგენილი. მესამე ადგილზეა 72-ე სკოლის ნაკრები (კიროვის რაიონი).

ზოგიერთმა სკოლამ ცალკე გუნდის გამოყვანა იმიტომ გადაწყვიტა, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში თითოეული რაიონის სამ-სამი გუნდის შედეგი იანგარიშებოდა. ამ მაჩვენებლის მიხედვით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. 26 კომისრის რაიონი; 2. კიროვის რაიონი; 3. ლენინის რაიონი. აღსანიშნავია, რომ სტარტზე სულ 26 გუნდი გამოვიდა. ე. ი. ზოგმა რაიონმა სამი კოლექტივის დაკომპლექტება ვერ შეძლო და წინასწარ გადაიწურა წარმატების იმედი საერთო გუნდურ ჩათვლაში.

ამანათრბენის მონაწილეთა დაჯილდოების შემდეგ ყველამ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მოიყარა თავი და გვირგვინით შეამკეს იგი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



## ოთხი ჩემპიონი

როსტოვში დამთავრდა 1974-1975 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაზე თბილისის სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სკოლის აღსაზრდელთაგან ოთხმა პირველი და ერთმა მესამე ადგილი დაიკავა.

ტურნირის გამარჯვებულები არიან: 47 კგ — ვახტანგ გამცემლიძე (მწვრთნელი ვილიამ ხარაზოვი), 62 კგ — სიმა გობუზოვი (მწვრთნელი ვახტანგ ციხითათრიშვილი), 66 კგ — რომან აფციაური (მწვრთნელი ელდარ ფარჯანაძე), 76 კგ — თეიმურ ბეგიაშვილი (მწვრთნელი ვილიამ ხარაზოვი).

62 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე სლავა ხარიბინი გავიდა.

## ყურადღება! გთავაზობთ ანკეტას

[illegible] ვდება სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. რა უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სისტემის სრულყოფისა და ამ მიმართებით მუშაობის გარდაქმნისათვის? ანკეტაზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, იმედია პასუხს მივიღებთ, როგორც მოსწავლეებისგან, ისე მასწავლებლებისგან, მშობლებისგან, გამოგვეხმაურება ყველა, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა.

მაშ ასე, ველით პასუხს შემოთავაზებულ ანკეტაზე.

პასუხი გამოგვიგზავნეთ 17 მაისამდე.

წინასწარ გიხდით მადლობას.

● გთხოვთ გვითხრათ, რა აზრის ხართ ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე?

1. ფიზიკური კულტურა აუცილებელია ყველასათვის
2. ფიზიკურ კულტურასა და სპორტს არც თუ ისე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ
3. ფიზიკური კულტურა და სპორტი დროის კარგვად მიმაჩნია
4. ვერაფერს ვერ გეტყვით.

● რამდენად შინაარსიანად ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილები თქვენს სასწავლებელში?

1. ტარდება შინაარსიანად
2. ტარდება უშინაარსოდ
3. ვერაფერს გეტყვით

● სპორტის რომელი სახეობის ელემენტებს ეცნობით ფიზკულტურის გაკვეთილებზე?

ჩამოთვალეთ: — — — — — — — — — —
— — — — — — — — — —
— — — — — — — — — —

● ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობის ამაღლების მიზნით საჭიროა ფიზკულტურის გაკვეთილებისადმი კონტროლი რაიმე ახალი ფორმით გაძლიერდეს?

1. დიახ
2. არა
3. ვერ გეტყვით

● თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობის ფიზიკური აქტივობა დაბალია, რა წინადადებას შემოგვთავაზებდით, რომ დაიძლიოს ეს ბარიერი სასწავლებლებში?

გთხოვთ ჩაწეროთ: — — — —
— — — — — — — — — —

თქვენი ასაკი — — — — — —
სქესი — — — — — — — —
ეროვნება — — — — — — —
საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი, რაიონი, სოფელი) — — — —

## გუშინ...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი.

დღეს გათამაშდება I ტურის შეხვედრები.

თამაზ იმნაიშვილი:

## იმედით ველი ოლიმპიადას

არიან სპორტსმენები, რომელთა გამარჯვებები, მათი დიდი ავტორიტეტის გამო, აღარ გვიკვირს, თუმცა ამ წარმატებებს მაინც სათანადოდ ვაფასებთ და გვიხარია. ასეთ სპორტსმენთა რიცხვს ეკუთვნის სპორტის დამსახურებული ოსტატი დინამოელი თამაზ იმნაიშვილი. როგორც უკვე გაცნობეთ, ჩვენმა სახელოვანმა მესტენდურემ თავი ისახელა იტალიის დიდი პრიზის გათამაშებაში. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მას თბილისში დაბრუნების შემდეგ ჩამოვართვით.

● წელს სპორტში ყველაფერი ოლიმპიური საზომით იზომება და ჩვენც საუბარში ამას გვერდს ვერ ავუვლით. თუმცა იტალიაში თქვენი გამარჯვების მნიშვნელობა ოლიმპიურ გუნდში მოხვედრად უკლაპარაკოდაც ცხადია.

— საერთოდ, ოლიმპიური გუნდის ასარჩევად ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებს დაგეგმილი აქვთ მაღალი რანგის შეჯიბრებათა სერია, მართალია, არც ერთ ჩემს გამოსვლას, თუნდაც თბილისის ჩემპიონატში, ისინი უყურადღებოდ არ ტოვებენ, მაგრამ იმასაც აუცილებლად გაითვალისწინებენ, რომ ამჯერად გამარჯვება უმაღლესი, „ა" კატეგორიის ტურნირში მოვიპოვე. სხვათა შორის, ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ „ეროვნებათა თასის" გათამაშება, როგორც იტალიელები უწოდებენ ამ შეჯიბრებას, მეთორმეტედ ჩატარდა და საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველმა მე გავიმარჯვე მრგვალ სტენდზე სროლაში.

● გვითხარით ორიოდე სიტყვა მონაწილეთა შემადგენლობაზე.

— მონტეკატინში 22 ქვეყნის მსროლელები გამოდიოდნენ. ეს საკურორტო ქალაქია, პიზიდან 40 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. განსაკუთრებით ძლიერი ნაკრები გუნდები ჰყავდათ მასპინძლებსა და ჩეხოსლოვაკიელებს. ორივე გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონი იყო.

იხ. მე-3 გვ.



8 მაისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიხსნა ცხენთგამოცდის ახალი სეზონი. სურათზე, რომელიც თამაზ ქიქავამ გადაიღო, ჩვენს იპოდრომზე წლევანდელი სეზონის პირველი დოღის ფრაგმენტია აღბეჭდილი.



აწმყო, შორეული წარსულისაგან

# ქართული სპორტის მემატიანე

არ დაიჯერებთ, ალბათ: თითქმის წელიწადი „დავდევდი" ბატონ ვასოს — ქართული სპორტის ღვაწლმოსილ ადამიანს — რათა საგაზეთო წერილი მომემზადებინა მისი დაბადების 90 წლისთავისათვის.

შეუსრულდება თუ არა ვინმეს 60 ან 50 წელი, პირდაპირ აგვიკლებს რედაქციას ვიზიტებით და ტელეფონის გაუთავებელი რეკვით. ეს კი...

გამახსენდა ჩვენი სასიქადულო ტანმოვარჯიშის ალექსანდრე ჯორჯაძის გაფრთხილება: ბატონ ვასოს არ უყვარს, როდესაც მასზე წერენ. ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის თანამშრომლებს გვინდოდა მისთვის პატარა, „შინაურული" იუბილე გადაგვეხადა. გაგიგონია, თავი მოიკლა კინაღამ — „არ მაწყენინოთ, ჩემზე არაფერი იზრუნოთო!". მერე დაგვემუქრა კიდეც.

...კარგა ხანს ვათვალიერებდით შურა ჯორჯაძესთან, ბატონ ვასოსთან და მის მეუღლესთან ლიდია დიმიტრის ასულთან (იგი სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსია) ერთად მასპინძლის ძველ ჟურნალ-გაზეთებს, ალბომებს, ბროშურებს, ბუკლეტებს, ამონაჭრებს, სხვადასხვა დოკუმენტებს. ბატონ ვასოს მართლაც შესაშური მზრუნველობით, დიდი სიყვარულით აქვს შეგროვილი და დაცული ყოველივე. ამ, თითქმის საუკუნის ტოლ კაცს ფენომენალური მეხსიერება აქვს — ახსოვს თითოეული სპორტსმენის ვინაობა, მისი ცალკეული მიღწევები, ნებისმიერი შეჯიბრება, მცირე დეტალებიც კი. შესანიშნავად იცის, წარმოიდგინეთ, ლათინურიც, სიტყვა არ შეეშლება...

„შემთხვევით" ჩვენი ყურადღება ამ ზღვა მასალაში ვ. ვერულაშვილის კადრების აღრიცხვის პირადმა ფურცელმა და ავტობიოგრაფიამ მიიპყრო. შევამჩნია — ხელიდან გამოგვტაცა და სადღაც მიმალა: „კაცო, მართლა ხომ არა წერთ ჩემზე?!..."

— არა, ბატონო ვასო! — თქვენი დაბადების 90 წელი ხომ შარშან იყო, დღეს უბრალოდ გესტუმრეთ, 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადის ამბები გვაინტერესებს, ეგებ დაგვეხმაროთ?!.

ერთ ყავისფერ, კარგად შემონახულ ჯგუფურ ფოტოსურათზე (თვითონაც რომ იყო გადაღებულთა შორის) ვკითხეთ. თბილისის ვაჟთა მე-5 გიმნაზიის მოსწავლეები ვართ გამოსაშვებ, 1919 წლის საღამოზეო — გვითხრა.

...1921 წელს ვასო ვერულაშვილი წითელი არმიის რიგებში ფიზიკური მომზადებისა და სპორტის მასწავლებლად დაუნიშნავთ — საქართველოს გაერთიანებულ კურსანტთა სამხედრო სკოლაში. სამი წლის შემდეგ ლენინგრადში გაგზავნეს უმაღლესი ფიზიკური კულტურის სამხედრო-პედაგოგიურ სკოლაში, 1927 წლიდან კი თბილისში ამიერკავკასიის სამხედრო სკოლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელად მუშაობდა. მოგვიანებით ბატონი ვასო თბილისის უნივერსიტეტის (1934 წელს უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო კონკურსში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა) ფიზაღზრდის კათედრის პირველი ხელმძღვანელი, ამავე დროს საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-მეთოდური კომიტეტის თავმჯდომარე და მთავარი ინსპექტორი იყო. ორიოდე წლის შემდეგ იგი თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ვ. ვერულაშვილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის საბრძოლო მომზადების სამმართველოში მუშაობდა ფიზმომზადებისა და სპორტის განყოფილების უფროსის მოადგილედ. მისი თავდადებული შრომის შედეგია ლენინის, საბრძოლო წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავისა და დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავი ორდენები, ათამდე მედალი და მრავალი საპატიო სიგელი.

...პატარა ვასო ვერაზე ცხოვრობდა და ხშირ-ხშირად აკითხავდა ქართული გიმნაზიის (დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის) სპორტულ დარბაზს, სადაც თვით გიორგი ეგნატაშვილი ავარჯიშებდა ტანმოვარჯიშეებს. ოსტატსაც შეუყვარდა მოუსვენარი ვასო, სხვებთან ერთად საცურაოდაც რომ დაჰყავდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მუშტაიდთან, სადაც მაშინ კარგი სილიანი „პლაჟი" იყო. გ. ეგნატაშვილი არც კოჯორში, კიკეთში, წყნეთში, ქინძალსა და შუამთაში ლაშქრობისას იცილებდა შეგირდს გვერდიდან.

მე-5 გიმნაზიაში ფიზკულტურას საუკეთესო სპეციალისტები ასწავლიდნენ — მიხაილ მოხოვი და ჩეხი ფრანც სტარი. ვასო მალე გიმნაზიის ჩემპიონი გახდა. განსაკუთრებით უყვარდა ღერძზე ვარჯიში. სადმე თუ მოკრავდა თვალს მოაჯირს, წამსვე ყირას ალმართავდა მასზე. ფ. სტარიმ ერთხელ ვასოს უთხრა, რომ მისმა მამა[illegible]ლმა [illegible] ჩარდახზე გაჭიმა ყირა. [illegible] ვასო [illegible] ბაღში ავიდა [illegible] ამხანაგებთან ერთად და იქვე, წყალვარდნილზე უშიშრად გააკეთა ყირა. როდესაც ეს გ. ეგნატაშვილმა შეიტყო, ძალიან გაუბრაზდა და სასტიკად გააფრთხილა, მეორედ ეს არ გაბედოო.

ვ. ვერულაშვილი თბილისში იმხანად გამართული სხვადასხვა შეჯიბრების მონაწილე და გამარჯვებული გახლდათ, ამასთან ერთდროულად ორ სახეობაში — ტანვარჯიშსა და ფარიკაობაში. ხმლით ბრძოლაში ვერულაშვილმა ჯერ საქართველოს, მერე კი ამიერკავკასიის ჩემპიონობა მოიპოვა და 1928 წლის პირველ საკავშირო სპარტაკიადაზე გაემგზავრა მოსკოვში. იგი აქ მოფარიკავეთა ნაკრების შემადგენლობაში მეორე გუნდურ საპრიზო ადგილზე გავიდა „ბ" ჯგუფში. დიდი სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, მთავარ მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ აბელ ენუქიძემ სხვებთან ერთად ვ. ვერულაშვილს საზეიმო ვითარებაში დიდი თეატრის სცენაზე გადასცა საპატიო სიგელი. რაც შეეხება ტანვარჯიშს, შურა ჯორჯაძემ ამას წინათ გაიხუმრა — ბატონი ვასო ოლიმპიური ჩემპიონიც გახლავთ!.. თურმე 1923 წელს თბილისში კავკასიის ჯარების ოლიმპიადა გამართულა დიდუბის ძველ იპოდრომზე, სადაც ვასო ვერულაშვილს ტანვარჯიშში პირველობა მოუპოვებია. ამის შემდეგ ვერულაშვილს მოსკოვში საბჭოთა არმიის საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი ხვდა მრავალჭიდში.

„ფიზკულტურული აღლუმების მუდმივ კომანდორს", როგორც მას ხუმრობით უწოდებდნენ ნაცნობმეგობრები, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ფიზკულტურულ-სპორტულ ზეიმში, მზადებაში, შეკრებაში — პირველი კი ტანმოვარჯიშეთა 1936 წლის სურამის საკავშირო შეკრება იყო.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფიზკულტურის წარჩინებული, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ვასილ ვერულაშვილი — კეთილი, თბილი იუმორით აღსავსე კაცი, მუდამ მზადაა დახმარება გაუწიოს ყველას, ვისაც სურს გაეცნოს ქართული სპორტის ისტორიის ამა თუ იმ პერიოდს — იგი ხომ ცოცხალი მატიანეა — ჩვენი სპორტის მთელი საუკუნის მატიანე...

ოთარ ნოზაძე.



1923 წელი. არმიელთა ოლიმპიადა თბილისში. დიდუბის იპოდრომი. ღერძზე ვარჯიშობს ვასო ვერულაშვილი.

ევტიხ ჟვანიას ფოტო.

---

## საქართველოს ჩემპიონატი მძლეოსნურ კროსში

# ფავორიტს აჯობეს

—„უკანასკნელ წლებში მძლეოსნური კროსი ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება, — ამბობს საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსი ტარიელ ზახტაძე, — ჩვენი მიზანია სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო მასობრივი გახდეს, ამიტომ ბათუმში გამართული ასპარეზობის პროგრამაში იუნიორთა შეჯიბრებაც შევიტანეთ. გარდა ამისა, ეს კროსი საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ მუშაობა პერიფერიებში. პირდაპირ გეტყვით: ამ მხრივ კმაყოფილნი დავრჩით. განსაკუთრებით გაგვახარეს წალკის, ახალციხისა და სამხრეთ ოსეთის კროსმენებმა. აი, აფხაზეთის წარმომადგენლებმა კი დაგვაფიქრეს თავიანთი უპასუხისმგებლობით. მათი ორი გოგონა სტარტზე მოიხსნა შეუსაბამო სპორტული ფორმის გამო, ხოლო სხვები თვითნებურად ტოვებდნენ შეჯიბრების ტრასას". ხელვაჩაურის რაიონის ანგისის სპორტულ კომპლექსზე გამართულ ამ შეჯიბრების სტარტზე გამოვიდა თბილისის ორი, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, ახალციხის, მახარაძის, სამხრეთ ოსეთის, ფოთისა და წალკის ნაკრები გუნდების 140-მდე სპორტსმენი.

232 ქულით გუნდურ პირველობაში გამარჯვება იზეიმა სამხრეთ ოსეთის ნაკრებმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ფავორიტი — თბილისის პირველი გუნდი, რომელსაც 227 ქულა ჰქონდა. მესამე ადგილი წილად ხვდა ახალციხის კოლექტივს — 176 ქულა.

**კვარცხლბეკი**

**გოგონები (1973-74 წ.წ.). 1000 მ.** 1. ა. ლაცაბიძე (ახალციხე)—3.06,0; 2. ქ. ზესტაევა — 3.07,0; 3. ი. გაზაევა (ორივე — სამხრეთ ოსეთი) — 3.15,0. **(1971-1972 წ.წ.). 2000 მ.** 1. ლ. ნანიშვილი (თბილისი-I) — 6.59,0; 2. მ. კორმაზოვა—7.02,0; 3. ა. ხუბეცოვა (ორივე—სამხრეთ ოსეთი)—7.16,0. **(1969-1970 წწ.). 3000 მ.** 1. ს. საიანოვა (ახალციხე) — 11.20,0; 2. რ. პინკოვა (აჭარა)—11.45,0; 3. ა. ნიკიფოროვა (წალკა) — 12.40,0.

**ქალები. 3000 მ.** 1. ხ. ზედგენიძე (თბილისი-I) — 10.51,0; 2. ვ. პოპოვა (წალკა) — 12.34,0; 3. დ. კარსანოვა (სამხრეთ ოსეთი) — 13.04.0; **5000 მ.** 1. ე. ბაიაზოვა (წალკა) 21.57,0; 2. ზ. გუჩმაზოვა (სამხრეთ ოსეთი) — 22.17,0; 3. ს. ტეკუტიევა (აჭარა) — 24.24,0.

**ჭაბუკები (1973-1974 წ. წ.) 2000 მ.** — 1. ა. ნაუმოვი (რუსთავი) — 5.59,0; 2. გ. სტეპანიანი (ახალციხე) — 6.00,0; 3. გ. ქექოშვილი (სამხრეთ ოსეთი) — 6.18,0; **(1971-1972 წ.წ.). 3000 მ.** 1. დ. ცომარტოვი (რუსთავი) — 9.09,0. 2. ა. ოვეიანი (ახალციხე) — 9.13,0; 3. მ. თევზაძე (თბილისი-2) — 9.32,0.

**იუნიორები. 5000 მ.** 1. ო. ხოხლოვი (თბილისი-1) — 15.55,0; 2. ჯ. ზილბერშტეინი (ახალციხე) — 16.12,0; 3. ზ. ფეხშველიშვილი (ოსეთი) — 16.16,0.

**ვაჟები (1967-1968 წ.წ.). 8000 მ.** 1. ს. არტამონოვი (თბილისი-1) — 25.03;0; 2. ა. ბოგატოვი (თბილისი-2) — 27.04,0; 3. ვ. ბაკულოვი (სამხრეთ ოსეთი) — 27.37,0; **ვაჟები. 12000 მ.** 1. ი. ციგულიოვი (თბილისი-1) — 38.33,0; 2. ო. ხარაზიშვილი (თბილისი-2) —39.33,0; 3. ნ. კუნიცინი (თბილისი, პირადი) — 41.17,0.

ლევან ქავთარაძე.
„ლელოს" საკ. კორ.

---

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „როცა ეზო მრუდეა"

„ლელოს" 14 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის („როცა ეზო მრუდეა") პასუხად გაცნობებთ, რომ ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. გურჯაანის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა 29 იანვარს იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისადმი მომთხოვნელობის შესუსტებისათვის გურჯაანის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს ი. ქიტოშვილს საყვედური გამოუცხადა.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ღლეისათვის შედგენილია სპორტული კომპლექსის მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაცია. სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები დაწყებულია.

ნ. ოთარაშვილი,
გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

---

# ნორჩ რეგბისტთა ფესტივალი

გინახავთ ერთად შეკრებილი 300 ჭაბუკი რეგბისტი? ალბათ, არა... ახლახან კი ქუთაისისა და მის შემოგარენის სპორტული მოედნები სწორედ ამდენმა რეგბიზე შეყვარებულმა ჭაბუკმა „დაიპყრო".

აქ გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის „სპარტაკის", როსტოვის სპორტსკოლის, ტაგანროგის „რადუგას", ქუთაისის ახალგაზრდული ნაკრებისა და საქალაქო სპორტკომიტეტის სპორტსკოლის გუნდებმა.

ტურნირის ორგანიზატორებს დიდი დახმარება გაუწიეს სოფელ მაღლაკის თავკაცებმა — მატჩების უმრავლესობა ამ სოფლის სტადიონზე ჩატარდა. ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის ახალგაზრდულმა ნაკრებმა. გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა თანაქალაქელთა გუნდი. მესამე-მეოთხე ადგილები მათმა მოსკოველმა და ტაგანროგელმა თანატოლებმა დაიკავეს.

ნორჩ რეგბისტთა ფესტივალის პროგრამა ამით არ ამოწურულა.

36-ე საშუალო სკოლის მოედანზე 1976-1977 წლებში დაბადებული ყმაწვილები მინი-რეგბში (9X9) შეეჯიბრნენ ერთმანეთს. აქაც ყველას ქუთაისის პირველმა გუნდმა აჯობა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ცამეტმოთამაშიანი გუნდების შეჯიბრებაში, რომელშიც ერთიორჩ წლით უფროსი ბიჭები გამოდიოდნენ, გაიმარჯვეს წყალტუბოელმა რეგბისტებმა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პირველი წარმატებით წყალტუბოშიც ჩაეყარა საფუძველი რეგბის. ეს, ცხადია, გამარჯვებულთა მწვრთნელების ბ. ზივზივაძის და ა. გურეშიძის დამსახურებაა.

ტურნირის უპირველესი მიზანი, რა თქმა უნდა, პერსპექტიული რეგბისტების გამოვლენა იყო. მწვრთნელების ყურადღება მიიქციეს ქუთაისის ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა მ. ჯანაშიამ, კ. ჯინჭარაძემ, ვ. სვანაძემ, ზ. კუპრეიშვილმა, ე. ძაგნიძემ, ზ. გეგელიამ, გ. მორჩაძემ, დ. აშოთიამ, გ. და თ. ლომიძეებმა და დ. ნაცვლიშვილმა.

ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის დასაწყისში ქუთაისში გაიხსნა რეგბისა და ბალახის ჰოკეის სპეციალიზებული სპორტსკოლა (დირექტორი ვ. თვალთვაძე) ქუთაისელ ყმაწვილებში რეგბის პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა. ეს თვალნათლივ დაადასტურა ამ ტურნირმაც. ქუთაისის გუნდები ამ შეჯიბრებისათვის მოამზადეს რ. სვანიძემ, ა. ნიქაბაძემ, ზ. გოგავამ, ა. ჩუბინიძემ, დ. ფულარიამ და თ. გიორგობიანმა.

გაისად ნორჩი სპორტსმენები კვლავ ესტუმრებიან ქუთაისს.

თამაზ კოლხიდელი.
(„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

# თამაზ იმნაიშვილი:

# იმედით ველი ოლიმპიადას

(დასასრული)

**● მარცხიანად დაწყებული შეჯიბრება თუ გიკარგავთ გამარჯვების იმედს?**

— სხვებს შეიძლება უკარგავდეს, მე — არა. ყველა გარემოებაში ვიცი, რომ კარგად სროლაა საჭირო. ამიტომ მუდამ მშვიდად ვარ ხოლმე.

**● მონტეკატინში ვინ გამოდიოდით საბჭოთა კავშირის გუნდის სახელით?**

— ბაქოელი ვალერი ტიმოხინი, ვილნიუსელი ლინას მიშკინისი, ყაზანელი სვეტლანა დიომინა და მეიქნებ არ იცოდეთ, ჩვენ გუნდური პირველობაც მოვიგეთ.

**● სვეტლანა დიომინაც ვაჟებს შორის ასპარეზობდა?**

— მერე როგორ! ძირითადი სერიების, ესე იგი 200 გასროლის შემდეგ 198 ქულა ჰქონდა და მთელი ოთხი ქულით მისწრებდა. 196 ქულა მოაგროვა ცნობილმა იტალიელმა მესტენდურემ ლუკა სკრიბანიმ.

**● არ ვიცი, თქვენ, მსროლელებს, როგორ მიგაჩნიათ, მაგრამ დიომინას შედეგი პირდაპირ დაუჯერებლად მეჩვენება.**

— როგორ გითხრათ. ქალთა შორის მსოფლიო რეკორდი 197 ქულაა. დიომინამ კი მას ერთი ქულით გადააჭარბა. საერთოდ ბოლო ხანს მესტენდურე ქალებმა დიდ პროგრესს მიაღწიეს, მაგრამ დიომინასთანა მსროლელი არსად მინახავს. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია ქალებში. სხვათა შორის, იგი პერსონალურად არის მიწვეული სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ვაჟთა შეჯიბრებაში გამოვა (ოლიმპიადაზე ქალთა შორის სასტენდო სროლაში შეჯიბრება არ ტარდება). სწორედ ამიტომ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები „აკლიმატიზაციისათვის" მას ხშირად ვაჟთა ტურნირებზე გზავნიან. იტალიაშიც ასე მოხდა და, როგორც ხედავთ, ჩვენ, მამაკაცებს, გუნდური პირველი ადგილის მოპოვებაში დაგვეხმარა.

**● თქვენი ნათქვამის შემდეგ კიდევ უფრო საოცარია, როგორ შეძელით ფინალში გაგესწროთ ლიდერისათვის, რომელსაც ოთხქულიანი უპირატესობა ჰქონდა?**

— ფინალში დაძაბულობა კულმინაციას აღწევს, მით უმეტეს — ასეთი რანგის შეჯიბრებაზე. დიომინასაც ალბათ ამიტომ უმტყუნა ნერვებმა და სკრიბანისაც. პირველმა ოთხჯერ ააცდინა სამიზნეს, მეორემ კი — ორჯერ. მე ოცდახუთივე თეფში გავტეხე და ლიდერებს დავეწიე. სამივეს 219-219 ქულა დაგვიგროვდა და, რადგან ფინალში უკეთესი შედეგი მქონდა, მთავარი პრიზიც მე მომაკუთვნეს. ამ წესის მიხედვით, ცხადია, სკრიბანი მეორე ადგილზე გავიდა, დიომინა — მესამეზე. სხვათა შორის, მე ფინალისწინა ორი სერია (50 გასროლაც) უშეცდომოდ ჩავატარე.

**● ათასჯერ გამიგია, რომ თქვენ შეჯიბრების მეორე ნახევარს თითქმის უშეცდომოდ ატარებთ. ეს თავისებური ტაქტიკა ხომ არ არის?**

— არავითარი ტაქტიკა, რატომღაც ასე გამოდის. შეჯიბრების მეორე ნახევარში მეტი ნებისყოფა, მეტი მობილიზება არის საჭირო და მე მაშინ უფრო კარგად ვისვრი. ამის მიზეზს ვერც კი აგიხსნით. კიდევ ვიმეორებ, ეს ჩემი წესი არ არის, უბრალოდ, ასე ხდება. თუმცა, გამონაკლისიც ხშირად არის. მოსკოვის ოლიმპიადა გაიხსენეთ — ახლაც არ ვიცი, როგორ ავაცდინე შეჯიბრების მიწურულს ორ თეფშს და ოლიმპიური ჩემპიონობა დავკარგე.

**● ტიმოხინსა და მიშკინისს აჯობეთ, მაგრამ სად იყო ალექსანდრე ჩერკასოვი, თქვენი კიდევ ერთი მეტოქე ქვეყნის ოლიმპიური გუნდის კანდიდატებიდან?**

— ავსტრიაში გამოდიოდა უფრო ნაკლებმნიშვნელოვან ტურნირზე, მაგრამ პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. ოლიმპიური გუნდის მთავარ კანდიდატებად მართლაც მე, ტიმოხინი და ჩერკასოვი ვითვლებით. დიომინა პერსონალურადაა მიწვეული ოლიმპიადაზე და კიდევ სამი ვაკანსიაა თავისუფალი. სხვათა შორის, ეს ვაკანსიები, ეგრეთ წოდებული ოლიმპიური ვიზები, სწორედ ჩვენმა სამეულმა მოიპოვა, თუმცა ნაკრების ხელმძღვანელობას უფლება აქვს გადამწყვეტ მომენტში სხვა მსროლელებს მიანიჭოს უპირატესობა. ამიტომ ოლიმპიადამდე დარჩენილ შეჯიბრებებზე, ქვეყნის



თამაზ იმნაიშვილი (მარცხნივ) და ტარიელ ჟღენტი „ლელოს" რედაქციაში.

ჩემპიონატი იქნება თუ ევროპისა, ფხიზლად უნდა ვიყოთ.

**● თქვენ იმდენ ტურნირში გამოსულხართ, რომ ამ დროს კაცი შეიძლება ცოტა „გაცივდეს", გულგრილი გახდეს მოგება-წაგების მიმართ.**

— თუ კაცს ეს დაემართა, იგი დაკარგულია სპორტისათვის. შეჯიბრებაზე კი არა, ვარჯიშზე თუ უზუსტოდ ვისვრი, ცუდად ვგრძნობ თავს. ძალზე განვიცდი მარცხს.

**● რამდენად სჭირდება თქვენი კვალიფიკაციის სპორტსმენს მწვრთნელი?**

— ასეთი კითხვის დასმა ადვილია, თუ სასტენდო სროლის თავისებურება არ იცი. როცა კაცს ნერვები მუდამ დაწყვეტაზე გაქვს, დროულ რჩევას, დარიგებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ჩემმა მწვრთნელებმა ზურაბ მაჩხანელმა და ტარიელ ჟღენტმა ჩემი ხასიათის ყველა ნიუანსი იციან. ისიც, როდის რა მჭირდება. ზოგჯერ თვით ყველაზე გამოცდილი სპორტსმენიც კი ვერ გრძნობს, როგორ დაუშვა შეცდომა. აი, მწვრთნელი მაშინ არის საჭირო. მან უნდა იცოდეს, როდის გაამხნევოს, როდის მისცეს მკაცრი დარიგება და როდის გაართოს ანეკდოტით ან სხვა თავშესაქცევი ამბით, რათა დაძაბულობისაგან გაათავისუფლოს. მოკლედ, მწვრთნელი კარგი სპეციალისტი და კარგი ფსიქოლოგი უნდა იყოს ერთდროულად.

**● თქვენ უკვე 34 წლის ხართ. მართალია, მსროლელები სპორტში სხვებზე დღეგრძელნი არიან, მაგრამ ასეთ დროს ახაკიც უკვე მხედველობაშია მისაღები.**

— სპორტში, კერძოდ, სროლაში, ყველაზე დიდი შეცდომა ასაკობრივი ცენზის დაწესება იყო. კაცი სწორედ მაშინ ისვრის კარგად, როდესაც დიდი გამოცდილება და მყარი ფსიქიკა აქვს. ეს დაახლოებით 30 წლისთვის მიიღწევა. ჩემი მეტოქეების უმრავლესობა ამ ასაკს გადაცილებულია და ზოგი — კარგა ხნითაც.

**● ესე იგი, ჯერ არ აპირებთ სპორტისთვის თავის დანებებას.**

— ძალიან ბევრჯერ დავაპირე. სპორტზე გულაცრუებით არ მოვსულვარ. სიცოცხლის ბოლომდე ხომ ვერ ისვრი, შენი ადგილი უნდა დაიმკვიდრო ცხოვრებაში. ეს მაშინ უნდა გააკეთო, ვიდრე გვიან არ იქნება. უმაღლესი სასწავლებლის 22 წლის კურსდამთავრებული, თუკი უნარიანი და მონდომებულია, სამიოდე წელიწადში კარგი სპეციალისტი ხდება. როგორ ფიქრობთ, საწარმოს საქმიანი ხელმძღვანელი, თუ არჩევანი გახდა საჭირო, მას მიანიჭებს უპირატესობას თუ 35-40 წლის სახელიან სპორტსმენს, მაგრამ უპერსპექტივო მუშაკს? სპორტზე დახარჯული დრო, გაცდენილი სწავლის საათები თავის კვალს ტოვებს.

**● როცა სპორტის მიტოვება იფიქრეთ, რამ შეგიცვალათ აზრი?**

— შესაფერისი სამუშაოს პოვნა გამიჭირდა. ფიზკულტურის ინსტიტუტი და უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. თან ნაკრების ხელმძღვანელები და ჩვენი სპორტის ხელმძღვანელები მთხოვდნენ, აი, დიდი შეჯიბრება გვიახლოვდება და შენი დიდი იმედი გვაქვსო. დიდი შეჯიბრებები კი არ თავდება... ოღონდ არ იფიქროთ, ვინმეს რამეს ვამადლიდე.

**● სპორტსმენებსაც აქვთ პრივილეგიები, მაგალითად, ბინის მიღებისას, მანქანის შეძენისას...**

— მართალია, მაგრამ ეს ძალიან დიდი კომპენსაცია არ გეგონოთ... როგორც უკვე ვთქვით, ცხოვრება ბევრ სხვა რამესაც მოითხოვს ადამიანისგან. მატერიალურ კეთილდღეობაზე არ გეუბნებით, მე სპორტში ის არ მქონია. მინდა საკანდიდატო ხარისხი დავიცვა სპორტის ფსიქოლოგიაში, ასპირანტურაში ვსწავლობდი პროფესორ სერგო ნარიკაშვილის ხელმძღვანელობით და ლექციებსაც ვკითხულობდი... აი, ეს მაქვს მხედველობაში.

**● თქვენი გამოცდილება ბევრ სპორტსმენს გამოადგებოდა. მწვრთნელობაზე თუ გიფიქრიათ?**

— არ შეიძლება სპორტსმენი დაავალდებულო, მწვრთნელი გახდი. ამას სულ სხვა ნიჭი და მონდომება სჭირდება. როგორ არ ავიყვანდი ერთ-ორ ჯგუფს, მაგრამ ახლა სპორტსმენთა სწავლებაში ისეთი წესებია, სახეირო რა უნდა გააკეთო? თუ ჯგუფებში 20-20 მოწაფე არ გყავს, საათებს არ გაძლევენ. რა უნდა ასწავლო ერთდროულად ამდენ ბავშვს. ეს შეუძლებელია, ასეთ პირობებში შენს ცოდნას ვერ გამოიყენებ. ჩემს მწვრთნელებს მაჩხანელსა და ჟღენტსაც ჰყავთ ჯგუფები და ვხედავ, როგორ წვალობენ. ჩემი აზრით, თითოეულ ჯგუფში 6 სპორტსმენზე მეტი არ უნდა იყოს და ისინიც საგულდაგულოდ უნდა შეარჩიო. ამდენი ბათქა-ბუთქი ძნელი ასატანია. ყველა მსროლელს სასმენი ნერვების დაავადება — ნევრიტი გვჭირს.

**● ცოტა რამ უკვე ვილაპარაკეთ ამის შესახებ, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ: ბევრ რამეზე დაგწყვიტათ გული სპორტმა?**

— არა, გული არ დაუწყვეტია. მე ძალიან მიყვარს სპორტი, ჩემი სახეობა, და სინანულს არ ვგრძნობ. უბრალოდ, წელან საქმის რეალური ვითარება მოგახსენეთ. დიდი იმედით ველი ოლიმპიადას. ოლიმპიურ ჩემპიონობას ვერავითარი მატერიალური ჯილდო, ვერავითარი საჩუქარი ვერ შეცვლის.

**ესაუბრა გიორგი ჩოჩიშვილი.**

# ფედერაციის თასზე

8 მაისს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის II ტურის მატჩები.

თბილისის „დინამო" დონეცკში შეხვდა ადგილობრივ „შახტიორს". თამაში დამთავრდა ფრედ —1:1 (პირველი ტაიმი 0:0).

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო" (მინსკი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:0, „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კიევი) 0:1, „დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:2, „კაირატი" (ალმა-ათა) — „ნეფთჩი" (ბაქო) 4:4, „არარატი" (ერევანი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 0:1, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:1.

# ოლიმპიელთა მატჩი

სსრ კავშირის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრებმა ჯერ კიდევ შესარჩევი ჯგუფის გათამაშების დამთავრებამდე მოიპოვა სეულის ოლიმპიური თამაშების ფინალური ტურნირის საგზური. გუშინ ჩვენმა ოლიმპიელმა ფეხბურთელებმა მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩი გამართეს, მათი მეტოქე იყო შვეიცარიის ნაკრები.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

## II ლიგა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა II ლიგის IX ზონის მეორე ტურის მატჩი ფეხბურთში. მასპინძლებმა „ლოკომოტივი"-ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდმა თბილისის „შევარდენი"სპი-ს უმასპინძლა.

შეხვედრა დამთავრდა „შევარდენი"-სპი-ს გამარჯვებით — 2:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ჯოხაძემ და ბაკურაძემ. მასპინძელთაგან—კერძევაძემ (პენალტით).

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს — „შევარდენი"სპი: აბუსერიძე, კოპალეიშვილი, ებანოიძე, ჩადუნელი, ნუცუბიძე (ნიკოლაიშვილი), ჯოხაძე, ძნელაძე, სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, ქვანია, ბაკურაძე. „ლოკომოტივი"-ოლიმპიური მომზადების ცენტრი: დოლიძე, ჩუბინიძე, ნადარეიშვილი (ყარყარაშვილი), ჯამიაშვილი, წიკლაური, ჯამარაული, ქოჩლაძე (ცკუასელი), ფერაძე (ლოლუა), კერძევაძე, ნეფარიძე, ყაველაშვილი.

ფეხბურთი

### ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე

# დღეს, სტრასბურგში

## „აიაქსი" — „მეხელენი"

თასების მფლობელთა თასის შარშანდელი მფლობელის, დიდი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე „აიაქსის" (ამსტერდამი) მორიგი წარმატება არავის გაჰკვირვებია, მაგრამ „მეხელენის" გასვლა ფინალში უდავო სენსაციაა.

„აიაქსის" კლუბი 1900 წლის 18 მარტს დაარსდა და დიდი ავტორიტეტი მას შემდეგ მოიპოვა, რაც ზედიზედ სამჯერ (1971, 1972 და 1973 წლებში) დაეუფლა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს. 1969 წელს იგი ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა, 1972 წელს საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი იყო, 1972 და 1973 წლებში სუპერთასს ფლობდა, შარშან კი „აიაქსმა" თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. ყველაზე დიდი წარმატება ამ გუნდში მწვრთნელებზე რეინოლდსზე (ინგლისი), კოვაჩსა (რუმინეთი) და კრუიფზე მოდის. კლუბის ისტორიაში ყველაზე უფრო გამოჩენილი მოთამაშეები არიან კრუიფი, კროლი, რეპი, სურბეირი, ნეესკენსი, კაიზერი, ჰაანი — ფეხბურთელები, რომლებმაც 70-იან წლებში სპორტული დიდება მოუტანეს ჰოლანდიას.

„აიაქსმა" წლეულს ჰოლანდიის პირველობაზე ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია „ეინდჰოვენს" და მეორე ადგილს დასჯერდა, მაგრამ ბრწყინვალედ გამოვიდა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში: სძლია ირლანდიის „დანდალკს" — 4:0, 2:0, „ჰამბურგერ შპორტფერაინს" (გფრ) — 1:0, 2:0, ბერნის „იანგ ბოისს" (შვეიცარია) — 1:0, 1:0 და მარსელის „ოლიმპიკს" (საფრანგეთი) — 3:0, 1:2.

„აიაქსს" იანვრამდე წვრთნიდა იოჰან კრუიფი, მაგრამ შემდეგ იგი კლუბის ხელმძღვანელებს წაეკიდა და დემონსტრაციულად მიატოვა გუნდი, „აიაქსს" ახლა სათავეში უდგას ბარი ჰულსჰოფი.

გუნდისთვის დიდი დანაკლისი იყო განთქმული სნაიპერის ვან ბასტენის „მილანში" გადასვლა, შემდეგ კი კრუიფთან კამათის გამო ჰოლანდიის ნაკრების კაპიტნისა და ცენტრალური მცველის რიიკარდის მიერ გუნდის მიტოვება. ახლანდელი შემადგენლობიდან გამოყოფენ საიმედო მეკარე სტენლი მენცოს, ნაკრების თავდამსხმელებს ჯონ ვან შიპსა და 23 წლის ჯონ ბოსმანს.

„მეხელენი" ადრე (1943, 1946 და 1948 წლებში) ბელგიის სამგზის ჩემპიონი იყო, მაგრამ შემდეგ, თითქმის 40 წლის მანძილზე თავი არაფრით გამოუჩენია. იგი მკვეთრად ჩამოუვარდებოდა ბელგიის რამდენიმე წამყვან კლუბს. მდგომარეობა შარშან შეიცვალა, როცა იგი ბელგიის თასს დაეუფლა, გუნდი ბოლო ხანებში საერთოდ მომძლავრდა და წლეულს ეროვნულ ჩემპიონატში მაღალი საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტია.

საინტერესოა, რომ თასების მფლობელთა თასის ფინალამდე ბელგიელები საერთოდ დაუმარცხებლად მივიდნენ, რაც „აიაქსმა" ვერ მოახერხა. „მეხელენმა" სძლია ბუქარესტის „დინამოს" — 1:0, 2:0; შოტლანდიის „სენტმირენს" — 0:0, 2:0, მინსკის „დინამოს" — 1:0, 1:1 და ბერგამოს „ატალანტას" — 2:1, 2:1.

გუნდს წვრთნის დე მოოსი.

**გივი თორელი.**

### საქართველოს პირველობა

7 და 9 მაისს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის IX და X ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

**IX ტური**

„მადარეული" (ჭიათურა) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:1, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 5:0, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „შადრევანი" (წყალტუბო) 2:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:3, „კოლხეთი" (ხობი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 4:1, „ივერია" (ხაშური) — „დინამო" (გაგრა) 2:1, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 4:1, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:0, „სულორი" (ვანი) — „სქური" (წალენჯიხა) 1:0, „დინამო" (ზუგდიდი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1.

**X ტური**

„არმაზი" (მცხეთა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:4, „შადრევანი" (წყალტუბო) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:0, „კოლხეთი" (ხობი) — „ივერია" (ხაშური) 3:0, „ეგრისი" (ცხაკაია) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:0, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „სულორი" (ვანი) 0:1, „სქური" (წალენჯიხა) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:4, „ქართლი" (გორის რ-ნი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 4:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 4:1, „მეშახტე" (ტყიბული) — „მადარეული" (ჭიათურა) 2:1.

# თეთრები იწყებენ და ... აგებენ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საერთაშორისო დიდოსტატ ქეთევან არახამიასა და ოსტატ ქეთევან კახიანის მატჩი ჭადრაკში. მათ შორის გამარჯვებული შემოდგომაზე 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაში იასპარეზებს (ავსტრალია), დამარცხებული კი ევროპის პირველობაზე გაემგზავრება.

## „ლელოს" ჭადრაკის განყოფილების კომენტარი

დებულების თანახმად, მეტოქეები 6 პარტიას გაითამაშებენ. მატჩის ფრედ (3:3) დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებულად ქეთევან არახამია გამოცხადდება, როგორც საერთაშორისო დიდოსტატი, 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონი გოგონათა შორის და ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე.

პირველ პარტიაში, რომელშიც (ისევე როგორც ყველა მომდევნო კენტ პარტიაში) თეთრი ფიგურებით ქეთევან კახიანი თამაშობდა, მეტოქეებმა სლავური დაცვა გაითამაშეს. დებიუტში თეთრები მცირე პოზიციურ უპირატესობას დაეუფლნენ, მაგრამ შემდეგ მიტელშპილში კახიანმა პოზიციური შეცდომები დაუშვა და მის „ბანაკში" სუსტმა უჯრებმა იჩინა თავი. არახამია ზუსტად თამაშობდა და 26-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა.

გთავაზობთ ამ პარტიას

**ქ. კახიანი — ქ. არახამია**

**სლავური დაცვა**

1. d4 d5 2. c4 c6 3. მf3 მf6 4. მc3 e6 5. კg5 h6 6. კ:f6 ლ:f6 7. e3 მd7 8. კd3 კd6 9. 0-0 ლe7 10. e4 dc 11. კ:c4 0-0 12. a4 b6 13. e5 კb4 14. ეc1 კb7 15. ლb3 ეfd8 16. ეfd1 მf8 17. მa2 a5 18. მ:b4 ab 19. h3 მg6 20. კd3 მf4 21. ლc2 c5 22. კe4 b3 23. ლd2 მ:h3+ 24. gh კ:e4 25. ლe3 კc2 26. ეd2 ე:a4. თეთრები დანებდნენ.

მეორე პარტიაში თეთრი ფიგურები ამჯერად უკვე ქეთევან არახამიას ჰქონდა და ამიტომაც იყო, რომ გულშემატკივართა უმრავლესობა მის გამარჯვებას მოელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ნიმცოვიჩის დაცვაში კახიანმა შეძლო სწრაფად გაეთანაბრებინა პოზიცია, შემდეგ კი უპირატესობასაც დაეუფლა. მან გახსნა h ვერტიკალი და ეტლით მეორე დიაგონალზე შეიჭრა.

არახამია შეეცადა ლაზიერის ფრთაზე კონტრთამაშის მიღებას. იგი ბევრს ფიქრობდა და ცაიტნოტში მოხვდა, სადაც 7 სვლაზე მას მხოლოდ ორი წუთიღა ჰქონდა დარჩენილი. კახიანი დინჯად თამაშობდა, რამდენიმე პაიკი მოიგო და აიძულა მეტოქე დანებებულიყო.

გთავაზობთ ამ პარტიას.

**ქ. არახამია — ქ. კახიანი**

**ნიმცოვიჩის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. კg5 h6 5. კh4 c5 6. d5 კ:c3+ 7. bc e5 8. e3 d6 9. კd3 e4 10. კc2 მbd7 11. მe2 g5 12. კg3 ლe7 13. h4 ეg8 14. hg hg 15. ლb1 მფd8 16. მფd2 მb6 17. ლb3 კg4 18. a4 ეb8 19. a5 მbd7 20. ეh6 მe5 21. კ:e5 ლ:e5 22. მg3 მფc7 23. ლb1 ეge8 24. ლe1 ეh8 25. ე:h8 ე:h8 26. ლb1 ეh2 27. ლg1 ეh4 28. ლb1 კc8 29. ლb5 კd7 30. ლb3 ეh2 31. ეg1 მg4 32. ეb1 კc8 33. კd1 მ:f2 34. მe2 ე:g2 35. კc2 f5 36. ლb5 მg4 37. ეh1 ეh2 38. ე:h2 მ:h2 39. a6 ba 40. ლa5+ მფb8 41. ლd8 მf1+ 42. მფc1 მ:e3 43. კa4 მ:c4. თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, ორი პარტიის შემდეგ ანგარიშში თანაბარია — 1:1.

**ვასილ ვაშაკიძე.**

## ტელეტაიპი — მკითხველი

**ბრატისლავა.** მშვიდობის 41-ე ველორბოლა დაიწყო პროლოგით, რომელიც გდრ-ის წარმომადგენელმა უვე ამპლერმა მოიგო —4.51,9. მეორე ადგილი რიგელმა პიოტრ უგრიუმოვმა დაიკავა, მესამე — ჩეხმა რომან კროიციგერმა. პროლოგის შემდეგ მთავარ ფავორიტებს — სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდებს ერთნაირი შედეგი აქვთ — 14.44,0. მესამე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები —14.59,0.

**პაზევინკელი (ბელგია).** აქ გაიმართა მერვე საერთაშორისო ოლიმპიური რეგატა. საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში. საბჭოთა სპორტსმენებმა 8 სახეობაში პირველი, ოთხში კი მეორე ადგილები დაიკავეს.

**სტარა-ზაგორა.** ბულგარეთის ამ ქალაქში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. საბჭოთა ათლეტებმა ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს. ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: რუსლან კარაევი (62 კგ), არტურ მოტალიგოვი (68 კგ), გარამ მუჰამედოვი (74 კგ), მაჰომედ ტატაზაშევი (90 კგ), გენადი ქილცოვი (130 კგ).

**სოფია.** მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ბიანკა პანოვამ. მრავალჭიდში მან ქულათა მაქსიმუმი დააგროვა — 40.

**ვილნიუსი.** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ბადროს ტყორცნა ვაჟთა შორის რომას უბარტასმა მოიგო. მისი შედეგი — 70 მ. 6 სმ. წელს მსოფლიოში საუკეთესოა.

**ბუდაპეშტი.** ხელბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი კრასნოდარის „ყუბანის" ქალთა კოლექტივმა მოიგო. ადგილობრივ „ვაშაშთან" განმეორებითი ორთაბრძოლა მან ფრედ (20:20) დაამთავრა და ორი შეხვედრის ჯამში უკეთესი შედეგი აჩვენა.

## ტელევიზიის დიდი პრიზზე

12 და 13 მაისს თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე ჩატარდება „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" ტრადიციული გათამაშება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის და კუბის უძლიერესი ველოსიპედისტები. სპრინტსა და გიტში ნაჩვენები შედეგები შევა ევროპის თასის გათამაშების საერთო ჩათვლაში.

12 მაისს 15 საათსა და 30 წუთზე შეჯიბრების საზეიმო გახსნა მოეწყობა.

## I ლიგა

8 და 9 მაისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, VIII ტურის მატჩები.

საქართველოს გუნდებმა ლანჩხუთის „გურიამ" და ბათუმის „დინამომ" ამ ტურში კვლავ სტუმრად ითამაშეს და ორივემ ისევ წააგო მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრები. „გურია" ვოროშილოვგრადში დამარცხდა „ზარიასთან" — 0:2, ხოლო ბათუმელებმა დონის როსტოვში წააგეს „როსტსელმაშთან" — 0:3.

**ცხადია, ორივე ჩვენი გუნდი სუსტად მოემზადა სეზონისთვის, უხეიროდ თამაშობს და მარცხსაც ამიტომ განიცდის. ლანჩხუთის „გურიისა" და ბათუმის „დინამოს" ხელმძღვანელები სერიოზულად უნდა დაუფიქრდნენ შექმნილ მდგომარეობას და სასწრაფოდ მიმართონ ქმედით ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.**

მომდევნო, IX ტურში, 15 მაისს, ჩვენი გუნდები ერთმანეთს ხვდებიან: ბათუმის „დინამო" ლანჩხუთში ითამაშებს „გურიასთან".

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: ასკ (დონის როსტოვი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 1:0, „ზვეზდა" (პერმი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 0:2, „გეოლოგი" (ტიუმენი) — „დაუგავა" (რიგა) 1:1, „კუზბასი" (კემეროვო) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 2:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „პამირი" (დუშანბე) 1:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:0, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 11 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" სტ. | 8 | 5 | 3 | 0 | 13-6 | 13 |
| „გეოლოგი" | 8 | 5 | 2 | 1 | 11-5 | 12 |
| „პამირი" | 8 | 4 | 3 | 1 | 14-7 | 11 |
| „როსტსელ." | 7 | 4 | 2 | 1 | 12-5 | 10 |
| „სპარტაკი" | 8 | 4 | 2 | 2 | 9-9 | 10 |
| ცსკა | 7 | 4 | 1 | 2 | 11-5 | 9 |
| „კოტაიკი" | 8 | 4 | 1 | 3 | 10-14 | 9 |
| „კუზბასი" | 8 | 4 | 0 | 4 | 6-7 | 8 |
| „დაუგავა" | 7 | 3 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| ასკ „კარპატი" | 7 | 3 | 1 | 3 | 11-6 | 7 |
| „როტორი" | 7 | 3 | 1 | 3 | 6-6 | 7 |
| „შინიკი" | 7 | 3 | 1 | 3 | 6-6 | 7 |
| ასკ რ. | 7 | 3 | 1 | 3 | 10-12 | 7 |
| „ტავრია" | 7 | 2 | 3 | 2 | 4-5 | 7 |
| „გურია" | 8 | 3 | 0 | 5 | 7-10 | 6 |
| „ზარია" | 7 | 2 | 2 | 3 | 9-8 | 6 |
| „ფახთაქორი" | 8 | 2 | 2 | 4 | 9-11 | 6 |
| „კოლოსი" | 8 | 2 | 2 | 4 | 5-7 | 6 |
| „ყუბანი" | 7 | 2 | 2 | 3 | 5-7 | 6 |
| „დინამო" ბ. | 8 | 2 | 0 | 6 | 4-10 | 4 |
| „ზვეზდა" | 8 | 0 | 4 | 4 | 5-10 | 4 |
| „მეტალურგი" | 8 | 0 | 3 | 5 | 2-13 | 3 |

# თასები და მათი მფლობელები

**ბოლო** წლებში კალათბურთელ ვაჟთა პოპულარული ევროპული ტურნირების — ჩემპიონთა თასის, თასის მფლობელთა თასისა და რ. კორაჩის თასის გათამაშებაში ხმა აღიმაღლეს იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის გუნდებმა.

ჩემპიონთა თასს წელს ზედიზედ მეორედ დაეუფლა მილანის „ტრეისერი". აღსანიშნავია, რომ იტალიის ეს სახელგანთქმული კლუბი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანია, რომელიც ყველა საკლუბო პრიზს ფლობს: ჩემპიონთა თასი — 1966, 1987, 1988 წლებში, თასის მფლობელთა თასი — 1971, 1972, 1976 და რ. კორაჩის თასი—1985. 1987 წლის სექტემბერში კი „ტრეისერმა" საკუთარ მოედანზე მილანში მოიგო კიდევ ერთი პრესტიჟული ტურნირი — საკონტინენტთაშორისო თასი.

ჩემპიონთა თასზე „ტრეისერის" წარმატება, პირველ ყოვლისა, განაპირობა ამერიკელი ვარსკვლავების ბობი მაკადუს და რიკი ბრაუნის ბრწყინვალე თამაშმა, დაცვის ჩინებულმა ორგანიზაციამ, მკაცრმა სათამაშო დისციპლინამ. გუნდის მთავარი ძალა, რა თქმა, უნდა, მისი ბრწყინვალე სასტარტო ხუთეულია. „ტრეისერის" წლევანდელი წარმატებები დაკავშირებულია მწვრთნელ კაზალინის სახელთან, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამერიკელი სპეციალისტის დან პეტერსენის ასისტენტად.

თასის მფლობელთა თასს პირველად დაეუფლა საფრანგეთის კლუბი „ლიმოჟი". იგი ორჯერ 1982 და 1983 წლებში ფლობდა რ. კორაჩის თასსაც. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში მან დაამარცხა იუგოსლავიის „შიბენკა", რომლის შემადგენლობაში მაშინ იყო დრაჟენ პეტროვიჩი. რ. კორაჩის თასზე „ლიმოჟის" წარმატებებს ფრანგი მიმომხილველები ამერიკელი ვარსკვლავის, ბრწყინვალე სნაიპერის ე. მერფის სახელს უკავშირებენ. ამ გუნდში დღესაც ამინდს ჰქმნიან ამერიკელი კალათბურთელები, რომელთა შორისაც, პირველ ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ მცველი ჰოვარდ კარტერი. მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა უნივერსალიზმი. კარ-



ტერი ჩინებული მცველი და სნაიპერია, თუმცა მიიჩნევენ, რომ იგი მაინც ჩამოუვარდება ოსტატობით თავის წინამორბედ მერფის. არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ ამერიკელთა გვერდით შესამჩნევად ამაღლდა ფრანგი კალათბურთელების სათამაშო კლასი. ეს პირველ რიგში ეხება საფრანგეთის ნაკრების წევრებს „ლიმოჟის" მოთამაშეებს დაკიურის და ოსტროვსკის.

სახელგანთქმული იუგოსლაველი კალათბურთელის რ. კორაჩის თასს პირველად დაეუფლა მადრიდის „რეალი". „რეალი" ყველაზე დიდი წარმატებით ჩემპიონთა თასზე ასპარეზობდა, იგი შვიდჯერ ფლობდა ამ საპატიო პრიზს — 1964, 1965, 1967, 1968, 1974, 1978, 1980. თასის მფლობელთა თასზე და კორაჩის თასზე „რეალი" შედარებით ცოტას თამაშობდა, რაც ქვეყნის ჩემპიონატში „რეალის" ჰეგემონიას უნდა მიეწეროს. იგი, როგორც ესპანეთის ჩემპიონი, უფრო ხშირად ჩემპიონთა თასზე გამოდიოდა, თუმცა 1982 წელს „რეალი" ძალიან ახლოს იყო თასების მფლობელთა თასის მოპოვებასთან. ესპანელებმა ფინალში გადამწყვეტი მატჩი ბრიუსელში წააგეს ზაგრების „ციბონასთან" — 95:96. ოთხჯერ ფლობდა „რეალი" საკონტინენტთაშორისო თასს — 1976, 1977, 1978, 1981. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შარშანდელი სეზონი საუკეთესო არ ყოფილა „რეალის" ისტორიაში. მან წარუმატებლად ითამაშა როგორც ქვეყნის ჩემპიონატში, ისე საერთაშორისო სარბიელზე ჩემპიონთა თასზე, სადაც 10 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო და ფინალურ ჯგუფში ბოლო VI ადგილი დაიკავა. სწორი არ იქნება, თუ წლეულს ესპანელების შესამჩნევ მოღონიერებას მარტო ამერიკელი ვარსკვლავების სახელს დაუკავშირებთ. ამერიკელი ალექსი, რასაკვირველია, კარგად მოერგო გუნდს, ხოლო ბრანსონი ესპანელთა გუნდში შარშანაც გამოდიოდა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ესპანელებს საბრძოლო სული შთაბერა პროფესიონალებიდან ფერნანდო მარტინის დაბრუნებამ (იგი ერთი სეზონი იყო „პორტლენდ თრეილ ბლეიზში"). ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და „რეალის" სრულუფლებიანი წევრი გახდა ხოსე ბირიუკოვი, ხოლო კორბალანს, იტურიაგას, რამაის, რულანს, ლიორნეტეს, დელ კორალს ოსტატობა და გამოცდილება არ აკლიათ. „რეალის" მწვრთნელია მანუელ ლოლო სანზი.

**მერაბ კალანდაძე.**

# ნახევარფინალისტები

გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ესპანეთის ჩემპიონატი კალათბურთში. გაირკვა ის რვა უძლიერესი გუნდი, ოლიმპიური სისტემით რომ გაითამაშებს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს. მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ბარსელონა"— „კაკაოლატა", კაი სარაგოსა —კაი კანარიასი, „ჰუვენტუდი ბადალონა" — „ესტუდიანტესი", „რეალი" — „ტანყერი".

მეოთხედფინალური სერიის მთავარი სენსაცია, როგორც ერთხმად აღნიშნავენ მიმომხილველები, იყო რ. კორაჩის თასის მფლობელის მადრიდის „რეალის" მარცხი საკუთარ მოედანზე „ტანყერთან"— 80:88, „რეალი", ეტყობა, იოლ გამარჯვებას ელოდა და საბრძოლველად ვერ განეწყო. ამ ვარაუდს სავსებით ადასტურებს განმეორებითი მატჩის შედეგი. „რეალმა" მეტოქის მოედანზე დამაჯერებელი რევანში აიღო — 103:55. ახლა მათ შორის გადამწყვეტი მესამე მატჩი მადრიდში გაიმართება და მიმომხილველთა უმრავლესობა წარმატებას „რეალს" უწინასწარმეტყველებს.

დანარჩენი მეოთხედფინალური წყვილების პაექრობამ მშვიდობიანად ჩაიარა. „ბარსელონამ" ორივე მატჩი მოუგო „კაკაოლატს", „ჰუვენტუდ ბადალონამ" „ესტუდიანტესს", ხოლო კაი სარაგოსამ — კაი კანარიასს.

ნახევარფინალში „ბარსელონა" „ჰუვენტუდ ბადალონას" შეხვდება, ხოლო კაი სარაგოსას მეტოქე, ალბათ, მაინც მადრიდის „რეალი" იქნება.

## „სპორტლოტო"

**8 მაისს** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-19 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 4 (კრივი), 20 (აფროსნობა), 24 (ხელბურთი), 37 (აკრობატიკა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 2 (ბიატლონი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (მშვილდოსნობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

## „სპორტპროგნოზი"

**მე-19 ტირაჟის შედეგები (8-9 მაისი)**

1—1, 2—2, 3—1, 4—1, 5—2, 6—X, 7—1, 8—X, 9—1, 10—1, 11—X, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სსრ სპორტსახკომი აცხადებს კონკურსს ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული მედიცინის ფაკულტეტის II კურსზე ჩასარიცხ აბიტურიენტთა შესარჩევად.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლიარად).

1. კადრების აღრიცხვის ფურცელი.
2. ავტობიოგრაფია.
3. დახასიათება სამუშაო ადგილიდან.
4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 080უ)
5. ნოტარიალურად დამტკიცებული დიპლომის ასლი.
6. ჩათვლის უწყისის ამონაწერი.
7. განცხადება სპორტსახკომის თავმჯდომარის სახელზე.
8. 6 ფოტოსურათი (3X4).
9. განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან 5 დღის ჩათვლით საქართველოს სსრ სპორტსახკომის კანცელარიაში.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05326